ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ ბაზაზე. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. სკოლაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 5 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში სკოლაში ვარჯიშობს 315 ბავშვი. საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს 8 სოფელში და ქ. მცხეთაში. 5 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში.</p> <p>ასევე, სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ ტურნირების 3 ასაკობრივ ჩემპიონატში.</p> <p>2021 წელს გაიმართება ტურნირები: მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პირველობაზე, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილეობის, გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.</p> <p>ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 02		212.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნიჩბოსნობის სხვადასხვა სახეობის (აკადემიური, კანოე, ბაიდარა) განვითარება. აკადემიაში ამ ეტაპზე 8 ჯგუფია, ნიჩბოსნობას ეუფლება 80-მდე სპორტსმენი. ქვეპროგრამის ფარგლებში ეწყობა ტურნირები, მათ შორის, მცხეთობასთან დაკავშირებული ტრადიციული ტურნირი. ასევე აკადემიის სპორტსმენები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში, როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აკადემიის აღსაზრდელები ირიცხებიან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და ქვეყნის სახელით მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში (4 სპორტსმენი).</p> <p>ქვეპროგრამით გამოყოფილი თანხები ასევე ხმარდება აკადემიაში თანამშრომელების (20 ადამიანი) ხელფასებს, შეჯიბრების ორგანიზების ხარჯებს, სპორტსმენტა ინვენტარის შეძენასა და აუცილებელ დანახარჯებს დაკავშირებულს ნიჩბოსნობის განვითარებასთან.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში აკადემიის მზადყოფნის უზრუნველყოფა დაგეგმილი ჩემპიონატებისათვის; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 01 01 03	ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“,	300.0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტში ძიუდო თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია. საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის უმაღლესი კვალიფიციური სპორტსმენების მომზადება და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში. შეჯიბრებსა და ტურნირებში მონაწილე სკოლის ნიჭიერი/წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება, წახალისება ფულადი</p>		



თუ ფასიანი საჩუქრებით და ასევე ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.

სკოლის აღსაზრდელები სამწვრთნეო პროცესს გადიან ქ. მცხეთასა და მუნიციპალიტეტის 8 სოფელში. ჯამში სკოლის აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 300-ზე მეტ ნორჩ მოჭიდავეს.

მოსალოდნელი შედეგი

მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;
ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელსეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 01 01 04	ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“	168.0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“. სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს: ჭადრაკის, კარატეს, ტაეკვონდოს, ველოსპორტის, კალათბურთის, ფრენბურთის 13 სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფი, კვალიფიცირებული მწვრთნელ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით, სადაც მეცადინეობს 200 მოსწავლე.</p> <p>წლის ბოლოს დაგეგმილია საუკეთესო სპორტსმენების და მწვრთნელის გამოვლენა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი წახალისება.</p> <p>სასპორტო სკოლაში დასაქმებულია 23 ადამიანი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით, მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;</p>	
მოსალოდნელი შედეგი		<p>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები;</p> <p>წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.</p>	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 05		400.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული სპორტული სივრცის მაქსიმალურად ათვისება და ამ მიზნით სხვადასხვა სახეობის სივრცეების მოწყობა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, საცურაო აუზების შესაბამისი ექსპლუატაცია, რათა საცურაო აუზები გამოყენებულ იქნეს როგორც ცურვის შესასწავლად, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი თვალსაზრისით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. ცურვის ფედერაციის და სპორტის სხვადასხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებული შეჯიბრებების გამართვის ხელშეწყობა.</p> <p>2021 წლიდან იგეგმება დამატებით დარბაზის ექსპლოატაციაში შესვლა სადაც მსურველებს საშუალება ექნებათ დაკავდნენ კალათბურთით, დარბაზის ფეხბურთით, ფრენბურთით. იგეგმება ჭიდაობის და კარატის ლეიბების შექმნა. ასევე, იგეგმება სატრენაჟორო დარბაზის სრულად დატვირთვა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გაზრდის კომპლექსით მოსარგებლეთა რაოდენობას.</p> <p>პროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის ხემისაწვდომობის გაზრდა საწყლოსნო და სხვა სპორტის სახეობებისადმი;</p> <p>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		900.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს მძლავრი სექტორის ჩამოყალიბება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“, რომელიც აერთიანებს მუნიციპალიტეტში არსებულ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მცხეთის კულტურის ცენტრს, 4 კულტურის სახლს, 1 ხელოვნების სკოლას, 2 მუსიკალურ სკოლას, 13 ბიბლიოთეკას.</p> <p>კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის მცხეთის კულტურის ცენტრში გაერთიანებულია: ბავშვთა საესტრადო და ქორეოგრაფიული წრეები (სწავლის პროგრამაში მონაწილეობს 400- მდე აღსაზრდელი), ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები (ჩართულია 100-მდე მონაწილე).</p> <p>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 კულტურის სახლი, რომლებიც სოფლის მოსახლეობას სთავაზობენ სახვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 94 160 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000 მოსახლე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუსიკალური მიმართულებით მოსახლეობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება;</p> <p>კულტურული ტრადიციების დაცვა;</p> <p>მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში 42.0
პროგრამის			



განმახორციელებელი	სსიპ „ი.ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“.
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სსიპ „ი.ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“.</p> <p>სახლ-მუზეუმის კომპლექსი მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი.ჭავჭავაძის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბად-ვენახით. მუზეუმის სტაციონალურ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტომასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 04		20.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობაში ტრადიციების შენარჩუნება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		212.0
პროგრამის განმახორციელებელი ცენტრი	ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღრიცხვა და მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა - განხორციელება; ტურიზმისა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტებისა და სტრატეგიების შემუშავება. ზედაპირული არქეოლოგიური კვლევით არტეფაქტების გამოვლენა-შენარჩუნება; ტექნიკური და ინსტიტუციონალური ღონისძიებებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვიზიტორთათვის მეტი სარგებლიანობის და ცენტრის შესაბამისი საორგანიზაციო ხარჯების უზრუნველყოფა.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შესწავლა და მასზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;</p> <p>ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ობიექტების ფიქსაცია.</p>		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,480.7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
-----------------	-----------------------------------	-------------------



06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,470.7
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	199.0
06 02	სოციალური დაცვა	1,271.7
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	348.0
06 02 02	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება	700.0
06 02 03	ერთჯერადი სოციალური დახმარება	50.0
06 02 04	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0
06 02 05	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	24.0
06 02 06	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	70.7
06 02 07	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	75.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		199.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"		
	<p>პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 		



პროგრამის აღწერა	<p>4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;</p> <p>5. თამბაქოს კონტროლი;</p> <p>6. ინტეგრირებული სკრინინგის(C ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი) განხორციელება;</p> <p>7. გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;</p> <p>8. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა.</p>
პროგრამის მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების გავრცელებისგან;</p> <p>მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 02 01	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური; საფინანსო სამსახური	348.0
		ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ: ხანძრის და სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებული ოჯახების	



პროგრამის აღწერა და მიზანი	(გარდა სტიქიით დაზარალებული პირებისა) ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ხანძრის და სხვა უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული პირების (გარდა სტიქიით დაზარალებული პირებისა) საცხოვრებელი ფართის ქირის გადასახადის დაფინანსება მცხეთის მუნიციპალიტეტის სამედიცინო და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ დადგენილი ვადით, საწვავი შეშით დახმარება, ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე პირების დახმარება ჟანგბადის აპარატის დროებით სარგებლობაში გადაცემით, მეოთხე და მომდევნო შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება, დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ პირების, აუტისტური სპექტრის და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების ფინანსური დახმარება, სკოლამდელი ასაკის და შშმ. ბავშვების ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		700.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ეკონომიურად გაჭირვებული და სხვა მძიმე ოჯახური პირობების მქონე მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის და კერძო სადაზღვევო პროგრამებით. დაფინანსების ზედა ზღვარი შეადგენს 2 000 (ორი ათასი) ლარს, გარდა იმ საგამონაკლისო ჯგუფებისა, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამით. 2020 წელს (9 თვის ფაქტით) დაკმაყოფილდა 691 ბენეფიციარი.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება		



პროგრამის დასახელება	კოდი	ერთჯერადი სოციალური დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		50.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური,		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირებზე, რომლებიც განიცდიან ეკონომიურ სიდუხჭირეს უმუშევრობის, დაბალშემოსავლიანობის, მძიმე ავადმყოფობის, უსახლკარობის, მარტოხელა მოხუცებულობის, სტიქიის ან სხვა მიზეზთა გამო და დადგენილი წესით მიმართავენ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას. დახმარება ერთჯერადია და შეადგენს 100 (ასი) ლარს. 2020 წელს (9 თვის ფაქტით) დაკმაყოფილდა 403 ბენეფიციარი.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში სოციალური, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		4.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურებისათვის საჭირო თანხა – 250 (ორასორმოცდაათი) ლარი. თანხას მიიღებს გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრი.		
მოსალოდნელი შედეგი	ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა		



პროგრამის დასახელება	კოდი	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		24.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული თირკმლის ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტების ტრანსპორტის ხარჯის შემცირების მიზნით ყოველთვიური ფინანსური დახმარება 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით. 2020 წლის მაჩვენებლით პროგრამით სარგებლობდა 25 ბენეფიციარი.		
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა; ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		70.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება". განხორციელდება საინვესტიციო პროექტებისა და საგრანტო განაცხადების მომზადება და წარდგენა საელჩოების, საერთაშორისო ჰუმანიტარულ და სხვა დონორ ორგანიზაციებისათვის წარსადგენად მათგან ინვესტიციების, დახმარებების და გრანტების მოზიდვის მიზნით.</p> <p>მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და დონორ ორგანიზაცია „ელ დი ეს ჩერიტის“ შორის გაფორმდა 120 000 ლარის ღირებულების საგრანტო ხელშეკრულება სოფ. კოტორაანთკარში სასმელი წყლის ჰაბურდილის მშენებლობასთან დაკავშირებით.</p> <p>მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და აშშ საელჩოს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისს შორის გაიმართა მოლაპარაკებები სოფ. ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში 301 000 აშშ დოლარის ღირებულების სასამელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.</p> <p>აშშ საელჩოს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისმა მცხეთის</p>		



მუნიციპალიტეტს მერიას საჩუქრად გადმოსცა 3 ერთეული ძალოვანი ტექნიკა (2 ავტომანქანა და ერთი სატვირთველი) საერთო ღირებულებით 42 770 აშშ დოლარი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და აშშ საელჩოს თავდაცვითი ურთიერთობების ოფისს შორის გაფორმდა მემორანდუმი წილკნის დევნილთა დასახლებაში მზრუნველობა მოკლებულ მოხუცთა თავშესაფრის მშენებლობასთან დაკავშირებით. აშშ საელჩოს დაფინანსებით 2021 წელს დაიწყება აღნიშნული მშენებლობა რომლის ღირებულება 500 000 აშშ დოლარს შეადგენს.

წეროვნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობისათვის გადასაცემად გაერთიანების პარტნიორი ორგანიზაციის მიერ ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადაეცა სხვადასხვა დასახელების ჰუმანიტარული ტვირთი.

მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში სოციალური/ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p>განხორციელებული საგრანტო პროექტები, ჰუმანიტარული დახმარებების მიღება და განაწილება შშმ პირებზე, დევნილებზე და სოც. დაუცველი მოსახლეობაზე.</p>
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასაბინო დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 02 07	ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასაბინო მზრუნველობა მოკლებულთათვის"	75.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მზრუნველობამოკლებულ მქონე პირთა დღეში ერთჯერადი კვებით მომსახურება უფასო სასაბინოთი. ამ პროგრამით 2020 წელს სარგებლობს 43 ბენეფიციარი; 2021 წელს ისარგებლებს 45 ბენეფიციარი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>		

მუხლი 18. პრიორიტეტების , პროგრამების, ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები



ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით, პროგრამები, /ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

თავი III მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 19. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	35,958.5	42,394.7	30,985.7	11,408.9	21,245.0	20,880.0	365.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	1,459.3	1,330.8	1,330.8	-	1,330.8	1,330.8	-
	ხარჯები	17,014.0	18,567.6	17,856.5	711.2	17,623.8	17,258.8	365.0
	შრომის ანაზღაურება	2,908.2	2,997.2	2,847.7	149.5	3,043.3	2,891.5	151.8
	საკონელი და მომსახურება	3,388.6	3,634.2	3,253.1	381.2	3,125.1	3,091.9	33.2
	პროცენტი	81.8	72.9	72.9	-	60.3	60.3	-
	სუბსიდიები	9,095.0	9,736.7	9,557.7	179.0	9,791.7	9,612.7	179.0
	გრანტები	42.0	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,096.5	1,085.2	1,083.7	1.5	1,047.0	1,046.0	1.0
	სხვა ხარჯები	401.9	999.4	999.4	-	514.4	514.4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18,608.2	22,770.4	12,965.1	10,697.7	3,495.4	3,495.4	-
	ვალდებულებების კლება	336.3	164.2	164.2	-	125.8	125.8	-
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,840.3	6,363.4	6,177.4	186.0	5,780.4	5,594.4	186.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	183.0	183.0	183.0	-	183.0	183.0	-
	ხარჯები	5,349.0	5,725.4	5,539.4	186.0	5,632.6	5,446.6	186.0
	შრომის ანაზღაურება	2,908.2	2,997.2	2,847.7	149.5	3,043.3	2,891.5	151.8
	საკონელი და მომსახურება	2,092.1	2,054.4	2,019.4	35.0	2,093.6	2,060.4	33.2
	პროცენტი	81.8	72.9	72.9	-	60.3	60.3	-
	სოციალური უზრუნველყოფა	38.3	44.5	43.0	1.5	39.0	38.0	1.0
	სხვა ხარჯები	228.6	556.4	556.4	-	396.4	396.4	-



	არაფინანსური აქტივების ზრდა	155.0	473.8	473.8	-	22.0	22.0	-
	ვალდებულებების კლება	336.3	164.2	164.2	-	125.8	125.8	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,422.2	5,926.3	5,740.3	186.0	5,314.3	5,128.3	186.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	183.0	183.0	183.0	-	183.0	183.0	-
	ხარჯები	5,267.2	5,452.5	5,266.5	186.0	5,292.3	5,106.3	186.0
	შრომის ანაზღაურება	2,908.2	2,997.2	2,847.7	149.5	3,043.3	2,891.5	151.8
	საქონელი და მომსახურება	2,092.1	2,054.4	2,019.4	35.0	2,093.6	2,060.4	33.2
	სოციალური უზრუნველყოფა	38.3	44.5	43.0	1.5	39.0	38.0	1.0
	სხვა ხარჯები	228.6	356.4	356.4	-	116.4	116.4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	155.0	473.8	473.8	-	22.0	22.0	-
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	774.6	805.8	805.8	-	813.8	813.8	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	13.0	13.0	13.0	-	13.0	13.0	-
	ხარჯები	773.3	802.0	802.0	-	811.8	811.8	-
	შრომის ანაზღაურება	590.9	598.7	598.7	-	607.9	607.9	-
	საქონელი და მომსახურება	138.7	149.9	149.9	-	150.5	150.5	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1.9	8.0	8.0	-	8.0	8.0	-
	სხვა ხარჯები	41.7	45.4	45.4	-	45.4	45.4	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.3	3.8	3.8	-	2.0	2.0	-
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4,451.4	4,910.5	4,910.5	-	4,290.5	4,290.5	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	159.0	159.0	159.0	-	159.0	159.0	-
	ხარჯები	4,301.7	4,440.5	4,440.5	-	4,270.5	4,270.5	-
	შრომის ანაზღაურება	2,166.9	2,249.0	2,249.0	-	2,283.6	2,283.6	-
	საქონელი და მომსახურება	1,912.2	1,845.5	1,845.5	-	1,885.9	1,885.9	-
	სოციალური უზრუნველყოფა	35.8	35.0	35.0	-	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები	186.8	311.0	311.0	-	71.0	71.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	149.7	470.0	470.0	-	20.0	20.0	-
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	182.8	186.0	-	186.0	186.0	-	186.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	11.0	11.0	11.0	-	11.0	11.0	-
	ხარჯები	178.8	186.0	-	186.0	186.0	-	186.0
	შრომის ანაზღაურება	150.4	149.5	-	149.5	151.8	-	151.8
	საქონელი და მომსახურება	27.8	35.0	-	35.0	33.2	-	33.2



	სოციალური უზრუნველყოფა	0.6	1.5		1.5	1.0		1.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.0	-		-	-		
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	13.3	24.0	24.0	-	24.0	24.0	-
	ხარჯები	13.3	24.0	24.0	-	24.0	24.0	-
	საქონელი და მომსახურება	13.3	24.0	24.0	-	24.0	24.0	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	418.1	437.1	437.1	-	466.1	466.1	-
	ხარჯები	81.8	272.9	272.9	-	340.3	340.3	-
	პროცენტი	81.8	72.9	72.9	-	60.3	60.3	-
	სხვა ხარჯები	-	200.0	200.0	-	280.0	280.0	-
	ვალდებულებების კლება	336.3	164.2	164.2	-	125.8	125.8	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	-	200.0	200.0	-	280.0	280.0	-
	ხარჯები	-	200.0	200.0	-	280.0	280.0	-
	სხვა ხარჯები		200.0	200.0	-	280.0	280.0	-
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)	418.1	237.1	237.1	-	186.1	186.1	-
	ხარჯები	81.8	72.9	72.9	-	60.3	60.3	-
	პროცენტი	81.8	72.9	72.9		60.3	60.3	
	ვალდებულებების კლება	336.3	164.2	164.2		125.8	125.8	
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	18,938.4	19,298.6	10,529.2	8,769.5	5,494.9	5,494.9	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	86.0	96.0	96.0	-	96.0	96.0	-
	ხარჯები	1,996.5	2,686.6	2,530.7	155.9	2,021.5	2,021.5	-
	საქონელი და მომსახურება	977.5	1,309.6	1,153.7	155.9	931.5	931.5	-
	სუბსიდიები	891.0	1,097.0	1,097.0	-	1,090.0	1,090.0	-
	სხვა ხარჯები	127.9	280.0	280.0	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16,941.9	16,612.0	7,998.5	8,613.5	3,473.4	3,473.4	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	9,177.0	9,621.8	3,131.4	6,490.4	1,170.0	1,170.0	-
	ხარჯები	58.3	38.0	38.0	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	58.3	89.9	89.9	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,118.7	9,531.9	3,041.5	6,490.4	1,170.0	1,170.0	-
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	58.3	38.0	38.0	-	-	-	-



	ბარჯები	58.3	38.0	38.0	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	58.3	38.0	38.0	-	-	-	-
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	9,118.7	7,654.3	1,977.5	5,676.8	1,170.0	1,170.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,118.7	7,654.3	1,977.5	5,676.8	1,170.0	1,170.0	-
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	9,118.7	1,929.5	1,115.9	813.6	-	-	-
	ბარჯები	-	51.9	51.9	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	-	51.9	51.9	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,118.7	1,877.6	1,064.0	813.6	-	-	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,448.1	4,448.2	3,698.1	750.1	2,734.9	2,734.9	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	86.0	96.0	96.0	-	96.0	96.0	-
	ბარჯები	941.6	980.9	980.9	-	1,001.5	1,001.5	-
	საქონელი და მომსახურება	50.6	80.9	80.9	-	101.5	101.5	-
	სუბსიდიები	891.0	900.0	900.0	-	900.0	900.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,506.5	3,467.3	2,717.2	750.1	1,733.4	1,733.4	-
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-კატრონობა	891.1	900.0	900.0	-	900.0	900.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	86.0	96.0	96.0	-	96.0	96.0	-
	ბარჯები	891.1	900.0	900.0	-	900.0	900.0	-
	საქონელი და მომსახურება	0.1	-	-	-	-	-	-
	სუბსიდიები	891.0	900.0	900.0	-	900.0	900.0	-
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1,499.3	3,396.1	2,646.0	750.1	1,734.9	1,734.9	-
	ბარჯები	-	1.5	1.5	-	1.5	1.5	-
	საქონელი და მომსახურება	-	1.5	1.5	-	1.5	1.5	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,499.3	3,394.6	2,644.5	750.1	1,733.4	1,733.4	-
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	57.8	152.1	152.1	-	100.0	100.0	-
	ბარჯები	50.5	79.4	79.4	-	100.0	100.0	-
	საქონელი და მომსახურება	50.5	79.4	79.4	-	100.0	100.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.2	72.7	72.7	-	-	-	-
02 03	გარე განათება	631.8	678.7	676.8	1.9	620.0	620.0	-
	ბარჯები	435.1	647.0	647.0	-	620.0	620.0	-
	საქონელი და მომსახურება	435.1	485.0	485.0	-	460.0	460.0	-



	სუბსიდიები	-	162.0	162.0	-	160.0	160.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	196.6	31.7	29.8	1.9	-	-	-
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	631.8	647.0	647.0	-	620.0	620.0	-
	ხარჯები	435.1	647.0	647.0	-	620.0	620.0	-
	საქონელი და მომსახურება	435.1	485.0	485.0	-	460.0	460.0	-
	სუბსიდიები	-	162.0	162.0	-	160.0	160.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	196.6	-	-	-	-	-	-
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება	631.8	485.0	485.0	-	460.0	460.0	-
	ხარჯები	435.1	485.0	485.0	-	460.0	460.0	-
	საქონელი და მომსახურება	435.1	485.0	485.0	-	460.0	460.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	196.6	-	-	-	-	-	-
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	-	162.0	162.0	-	160.0	160.0	-
	ხარჯები	-	162.0	162.0	-	160.0	160.0	-
	სუბსიდიები	-	162.0	162.0	-	160.0	160.0	-
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	-	31.7	29.8	1.9	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	31.7	29.8	1.9	-	-	-
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,479.1	853.6	853.6	-	70.0	70.0	-
	ხარჯები	13.8	350.0	350.0	-	70.0	70.0	-
	საქონელი და მომსახურება	13.8	70.0	70.0	-	70.0	70.0	-
	სხვა ხარჯები		280.0	280.0		-		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,465.3	503.6	503.6	-	-	-	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,565.5	1,565.3	1,097.8	467.4	310.0	310.0	-
	ხარჯები	131.0	319.0	319.0	-	310.0	310.0	-
	საქონელი და მომსახურება	131.0	284.0	284.0	-	280.0	280.0	-
	სუბსიდიები	-	35.0	35.0	-	30.0	30.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,434.4	1,246.3	778.8	467.4	-	-	-
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (სკვერები და მოსაცდელეები)	1,565.5	1,430.3	962.8	467.4	180.0	180.0	-
	ხარჯები	131.0	184.0	184.0	-	180.0	180.0	-



	საქონელი და მომსახურება	131.0	184.0	184.0	-	180.0	180.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,434.4	1,246.3	778.8	467.4	-		
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	-	35.0	35.0	-	30.0	30.0	-
	ხარჯები	-	35.0	35.0	-	30.0	30.0	-
	სუბსიდიები		35.0	35.0		30.0	30.0	
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	-	100.0	100.0	-	100.0	100.0	-
	ხარჯები	-	100.0	100.0	-	100.0	100.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	100.0	100.0	-	100.0	100.0	-
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	864.3	871.6	8.7	862.9	-	-	-
	ხარჯები	288.7	155.9	-	155.9	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	288.7	155.9	-	155.9	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	575.6	715.7	8.7	707.0	-		
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	67.2	56.7	56.7	0.0	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	67.2	56.7	56.7	0.0	-		
02 09	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,356.2	826.9	826.9	-	590.0	590.0	-
	ხარჯები	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,356.2	806.9	806.9	-	570.0	570.0	
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1,349.2	375.7	179.1	196.7	-	-	-
	ხარჯები	127.9	123.9	123.9	-	-	-	-
	საქონელი და მომსახურება	-	123.9	123.9	-	-	-	-
	სხვა ხარჯები	127.9	-	-				
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,221.3	251.9	55.2	196.7	-		
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,753.0	1,764.5	1,764.5	-	1,615.0	1,615.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	150.0	156.0	156.0	-	156.0	156.0	-
	ხარჯები	1,596.6	1,499.0	1,499.0	-	1,615.0	1,615.0	-
	საქონელი და მომსახურება	20.0	60.0	60.0	-	50.0	50.0	-
	სუბსიდიები	1,576.6	1,439.0	1,439.0	-	1,565.0	1,565.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	156.4	265.5	265.5	-	-	-	-



03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,733.0	1,409.0	1,409.0	-	1,470.0	1,470.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	150.0	156.0	156.0		156.0	156.0	
	ხარჯები	1,576.6	1,339.0	1,339.0	-	1,470.0	1,470.0	-
	სუბსიდიები	1,576.6	1,339.0	1,339.0		1,470.0	1,470.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	156.4	70.0	70.0		-		
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	-	325.5	325.5	-	95.0	95.0	-
	ხარჯები	-	130.0	130.0	-	95.0	95.0	-
	საკონელი და მომსახურება	-	30.0	30.0	-	-	-	-
	სუბსიდიები	-	100.0	100.0		95.0	95.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა		195.5	195.5		-		
03 02 01	მოვლა-პატრონობა	-	100.0	100.0	-	95.0	95.0	-
	ხარჯები	-	100.0	100.0	-	95.0	95.0	-
	სუბსიდიები	-	100.0	100.0		95.0	95.0	
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	-	225.5	225.5	-	-	-	-
	ხარჯები	-	30.0	30.0	-	-	-	-
	საკონელი და მომსახურება	-	30.0	30.0	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		195.5	195.5		-		
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	20.0	30.0	30.0	-	50.0	50.0	-
	ხარჯები	20.0	30.0	30.0	-	50.0	50.0	-
	საკონელი და მომსახურება	20.0	30.0	30.0	-	50.0	50.0	-
04 00	განათლება	5,438.4	5,893.6	4,627.6	1,266.0	4,430.0	4,430.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	486.8	487.8	487.8	-	487.8	487.8	-
	ხარჯები	4,192.6	4,572.0	4,381.8	190.2	4,430.0	4,430.0	-
	საკონელი და მომსახურება	299.0	190.2	-	190.2	30.0	30.0	-
	სუბსიდიები	3,882.0	4,356.8	4,356.8	-	4,400.0	4,400.0	-
	სხვა ხარჯები	11.6	25.0	25.0	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,245.8	1,321.5	245.8	1,075.8	-	-	-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	3,912.3	4,400.0	4,400.0	-	4,400.0	4,400.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	486.8	487.8	487.8		487.8	487.8	
	ხარჯები	3,893.6	4,356.8	4,356.8	-	4,400.0	4,400.0	-
	სუბსიდიები	3,882.0	4,356.8	4,356.8		4,400.0	4,400.0	



	სხვა ხარჯები	11.6	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18.7	43.2	43.2	-	-	-	-
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	432.2	466.8	202.6	264.2	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	432.2	466.8	202.6	264.2	-	-	-
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	1,093.9	1,026.8	25.0	1,001.8	30.0	30.0	-
	ხარჯები	299.0	215.2	25.0	190.2	30.0	30.0	-
	საქონელი და მომსახურება	299.0	190.2	-	190.2	30.0	30.0	-
	სხვა ხარჯები		25.0	25.0		-		
	არაფინანსური აქტივების ზრდა	794.9	811.5	-	811.5	-	-	-
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2,567.7	6,647.4	5,638.9	1,008.5	2,454.0	2,454.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	512.5	367.0	367.0	-	367.0	367.0	-
	ხარჯები	2,461.8	2,549.8	2,549.8	-	2,454.0	2,454.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	სუბსიდიები	2,419.8	2,487.8	2,487.8	-	2,392.0	2,392.0	-
	გრანტები	42.0	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	105.9	4,097.6	3,089.1	1,008.5	-	-	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,304.1	4,901.0	4,245.6	655.4	1,280.0	1,280.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	104.5	157.0	157.0	-	157.0	157.0	-
	ხარჯები	1,205.7	1,344.3	1,344.3	-	1,280.0	1,280.0	-
	სუბსიდიები	1,205.7	1,344.3	1,344.3	-	1,280.0	1,280.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	98.4	3,556.7	2,901.3	655.4	-	-	-
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,304.1	1,379.9	1,379.9	-	1,280.0	1,280.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	104.5	157.0	157.0	-	157.0	157.0	-
	ხარჯები	1,205.7	1,344.3	1,344.3	-	1,280.0	1,280.0	-
	სუბსიდიები	1,205.7	1,344.3	1,344.3	-	1,280.0	1,280.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	98.4	35.6	35.6	-	-	-	-
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	203.0	200.0	200.0	-	200.0	200.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	29.0	31.0	31.0	-	31.0	31.0	-
	ხარჯები	202.5	194.8	194.8	-	200.0	200.0	-



	სუბსიდიები	202.5	194.8	194.8		200.0	200.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	5.2	5.2		-		
05 01 01 02	კანონსა და ნიჭოსნობის განვითარების ხელშეწყობა	190.4	212.0	212.0	-	212.0	212.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	20.0	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	ხარჯები	182.2	195.6	195.6	-	212.0	212.0	-
	სუბსიდიები	182.2	195.6	195.6		212.0	212.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.1	16.4	16.4		-		
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	295.9	300.0	300.0	-	300.0	300.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	34.5	38.5	38.5	-	38.5	38.5	-
	ხარჯები	295.9	300.0	300.0	-	300.0	300.0	-
	სუბსიდიები	295.9	300.0	300.0		300.0	300.0	
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	129.5	167.9	167.9	-	168.0	168.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	21.0	23.5	23.5	-	23.5	23.5	-
	ხარჯები	128.8	162.9	162.9	-	168.0	168.0	-
	სუბსიდიები	128.8	162.9	162.9		168.0	168.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.6	5.0	5.0		-		
05 01 01 05	საგურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	485.4	500.0	500.0	-	400.0	400.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება		44.0	44.0	-	44.0	44.0	-
	ხარჯები	396.2	491.0	491.0	-	400.0	400.0	-
	სუბსიდიები	396.2	491.0	491.0		400.0	400.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	89.2	9.0	9.0		-		
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	3,521.1	2,865.7	655.4	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		3,521.1	2,865.7	655.4	-	-	
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,263.5	1,746.3	1,393.3	353.1	1,174.0	1,174.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	408.0	210.0	210.0	-	210.0	210.0	-
	ხარჯები	1,256.1	1,205.5	1,205.5	-	1,174.0	1,174.0	-
	საკონელი და მომსახურება	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	სუბსიდიები	1,214.1	1,143.5	1,143.5	-	1,112.0	1,112.0	-
	გრანტები	42.0	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.4	540.9	187.8	353.1	-	-	-



05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	1,050.7	982.0	982.0	-	942.0	942.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	392.0	194.0	194.0	-	194.0	194.0	-
	ხარჯები	1,050.3	978.0	978.0	-	942.0	942.0	-
	სუბსიდიები	1,008.3	936.0	936.0	-	900.0	900.0	-
	გრანტები	42.0	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.4	4.0	4.0	-	-	-	-
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	111.3	940.0	940.0	-	900.0	900.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	190.0	194.0	194.0	-	194.0	194.0	-
	ხარჯები	111.3	936.0	936.0	-	900.0	900.0	-
	სუბსიდიები	111.3	936.0	936.0	-	900.0	900.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		4.0	4.0	-	-	-	-
05 02 01 02	მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	837.7	-	-	-	-	-	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	160.0	-	-	-	-	-	-
	ხარჯები	837.3	-	-	-	-	-	-
	სუბსიდიები	837.3	-	-	-	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.4	-	-	-	-	-	-
05 02 01 03	ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი „სვეტი“	59.6	-	-	-	-	-	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	42.0	-	-	-	-	-	-
	ხარჯები	59.6	-	-	-	-	-	-
	სუბსიდიები	59.6	-	-	-	-	-	-
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
	ხარჯები	42.0	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
	გრანტები	42.0	42.0	42.0	-	42.0	42.0	-
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	532.3	179.3	353.1	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		532.3	179.3	353.1	-	-	-
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	ხარჯები	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-
	საქონელი და მომსახურება	-	20.0	20.0	-	20.0	20.0	-



05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	212.9	212.0	212.0	-	212.0	212.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	16.0	16.0	16.0		16.0	16.0	
	ხარჯები	205.8	207.5	207.5	-	212.0	212.0	-
	სუბსიდიები	205.8	207.5	207.5		212.0	212.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7.0	4.5	4.5		-		
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,420.8	2,427.2	2,248.2	179.0	1,470.7	1,291.7	179.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	41.0	41.0	41.0	-	41.0	41.0	-
	ხარჯები	1,417.6	1,534.8	1,355.8	179.0	1,470.7	1,291.7	179.0
	სუბსიდიები	325.6	356.1	177.1	179.0	344.7	165.7	179.0
	სოციალური უზრუნველყოფა	1,058.2	1,040.7	1,040.7	-	1,008.0	1,008.0	-
	სხვა ხარჯები	33.9	138.0	138.0	-	118.0	118.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.2	0.0	892.4	0.0	-	-	-
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	193.8	219.0	40.0	179.0	199.0	20.0	179.0
	მომუშავეთა რიცხოვნება	28.0	28.0	28.0		28.0	28.0	
	ხარჯები	192.4	219.0	40.0	179.0	199.0	20.0	179.0
	სუბსიდიები	192.4	219.0	40.0	179.0	199.0	20.0	179.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.4	0.0		0.0	-		
06 02	სოციალური დაცვა	1,227.0	1,315.8	1,315.8	-	1,271.7	1,271.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	13.0	13.0	13.0	-	13.0	13.0	-
	ხარჯები	1,225.2	1,315.8	1,315.8	-	1,271.7	1,271.7	-
	სუბსიდიები	133.1	137.1	137.1	-	145.7	145.7	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1,058.2	1,040.7	1,040.7	-	1,008.0	1,008.0	-
	სხვა ხარჯები	33.9	138.0	138.0	-	118.0	118.0	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.8	-	-	-	-	-	-
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	342.5	388.0	388.0	-	348.0	348.0	-
	ხარჯები	342.5	388.0	388.0	-	348.0	348.0	-
	სუბსიდიები		2.4	2.4		-		
	სოციალური უზრუნველყოფა	308.6	247.6	247.6		230.0	230.0	
	სხვა ხარჯები	33.9	138.0	138.0		118.0	118.0	
06 02 02	მოქალაქეებისათვის მკურნალობის და	674.3	700.0	700.0	-	700.0	700.0	-



	ოპერაციის ხარჯების დაფინანსება							
	ხარჯები	674.3	700.0	700.0	-	700.0	700.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	674.3	700.0	700.0		700.0	700.0	
06 02 03	ერთჯერადი სოციალური დახმარება	54.5	60.0	60.0	-	50.0	50.0	-
	ხარჯები	54.5	60.0	60.0	-	50.0	50.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	54.5	60.0	60.0		50.0	50.0	
06 02 04	სამშობლოს დაცვისას დადუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	1.0	4.0	4.0	-	4.0	4.0	-
	ხარჯები	1.0	4.0	4.0	-	4.0	4.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	1.0	4.0	4.0		4.0	4.0	
06 02 05	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	19.8	29.1	29.1	-	24.0	24.0	-
	ხარჯები	19.8	29.1	29.1	-	24.0	24.0	-
	სოციალური უზრუნველყოფა	19.8	29.1	29.1		24.0	24.0	
06 02 06	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	70.7	70.7	70.7	-	70.7	70.7	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	6.0	6.0	6.0		6.0	6.0	
	ხარჯები	69.5	70.7	70.7	-	70.7	70.7	-
	სუბსიდიები	69.5	70.7	70.7		70.7	70.7	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.2	-	-		-	-	
06 02 07	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	64.2	64.0	64.0	-	75.0	75.0	-
	მომუშავეთა რიცხოვნება	7.0	7.0	7.0		7.0	7.0	
	ხარჯები	63.7	64.0	64.0	-	75.0	75.0	-
	სუბსიდიები	63.7	64.0	64.0		75.0	75.0	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.6	-	-		-	-	
06 02 08	ჯანდაცვის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	892.4	892.4	0.0	-	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა		892.4	892.4	0.0	-	-	

თავი IV. მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 20. ასიგნებების დაფინანსება

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს



სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 21. ასიგნებების გადანაწილება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის შესაბამისად, ნება დაერთოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერს დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად, მოახდინოს ცალკეული პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მუხლი 22. კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2021 წლის განმავლობაში მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 23. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 365.0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 179.0 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 186.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 24. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანომდებლობის შესაბამისად.

მუხლი 25. სარეზერვო ფონდი

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი **280.0** ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

